

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს
ბ. ო.-ს
მოსარჩელე, მ. დ.-ს სარჩელთან დაკავშირებით
საქმე №....

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16¹ მუხლის შესაბამისად

ქალბატონო ბ,

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N8282/21) მომართა მ. დ.-ს წარმომადგენელმა თ. ზ.-მა, რომელშიც განმარტავს მისი მარწმუნებლის შრომითი უფლების შესაძლო დარღვევის თაობაზე. განმცხადებელმა სახალხო დამცველს აცნობა, რომ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოება და სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრების წარდგენის თაობაზე. წინამდებარე დოკუმენტით, სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების და შრომითი უფლებების სხვა სავარაუდო დარღვევების მიმართულებით გამოკვეთილ ტენდენციებზე.

1. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელე - მ. დ. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის (გიორგი გახარია) 2020 წლის 25 თებერვლის N46 ბრძანებით 4 წლის ვადით დაინიშნა სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარედ. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის №224 ბრძანების თანახმად, იგი „საქპატენტის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა¹ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გათავისუფლდა.²

¹ საქართველოს საპატენტო კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი

² „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი თავისუფლდება თანამდებობიდან, თუ ჯეროვნად ვერ ასრულებს მისთვის კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) განსაზღვრულ უფლებამოსილებას

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გათავისუფლების ბრძანებაში არ არის მითითებული, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები დაედო საფუძვლად გათავისუფლებას და რა სახის ქმედებები იქნა მიჩნეული მისი მხრიდან უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულებად. აღნიშნული გარემოებების შესახებ, ინფორმაციის მიღების მიზნით, მ. დ.-მ საქართველოს პრემიერ-მინისტრს 2021 წლის 16 ივნისის წერილით მიმართა, თუმცა განცხადებაში აღნიშნულია, რომ კორესპონდენციაზე პასუხი მას არ მიუღია.

სარჩელის თანახმად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას თანამდებობიდან გადადგომის (2021 წლის თებერვალი) შემდგომ, ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნიდან მალევე დაიწყო მოსარჩელის პოლიტიკური ნიშნით შევიწროება. მოსარჩელის განმარტებით, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა - ი. დ.-მა მოსთხოვა თანამდებობიდან წასვლა და მოთხოვნის გასამყარებლად მოიხმო შრომის ინსპექციის დასკვნა. ამასთან, შევიწროების დასადასტურებლად მოსარჩელე მიუთითებს, „პროსახელისუფლო“ მედიების მიერ მცდარი სიუჟეტების გავრცელებისა და „საქპატენტის“ ოფიციალური ვებგვერდიდან შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წაშლის ფაქტებზე. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მთავრობის ახალი ხელმძღვანელისთვის (ირაკლი ღარიბაშვილი) პოლიტიკურად მიუღებელი კადრი იყო, ვინაიდან დაინიშნა მისი წინამორბედის - გიორგი გახარიას ბრძანებით და არახელსაყრელ მგომარეობაში ჩააყენეს გიორგი გახარია მხარდაჭერისა და მისდამი სიმპათიის გამო.

საქმეზე მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. დავის საგანი არის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით.

2. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად: *„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“*

საკითხის მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის

იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. შრომითი უფლებების სტანდარტები

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შრომასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებული და დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით,³ და საერთაშორისო ხელშეკრულებებით⁴, ისე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლით (ახალი რედაქციით 26-ე მუხლი) დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, **დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისაგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.**⁵ ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შრომის თავისუფლებაში იგულისხმება არა მხოლოდ თავისუფლება იძულებითი შრომისგან, **არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას დასაქმებულთა შრომითი უფლებები.** შრომითი უფლებების დაცვაში ბუნებრივია, დისკრიმინაციის აკრძალვაც მოიაზრება.

შრომის უფლება, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტია, აგრეთვე, აღიარებულია მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტით,⁶ რომელთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმომცველი მოწესრიგება ასახულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. კერძოდ, პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.⁷ დასახელებული მოწესრიგების ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები დასაქმებულთა უკანონო გათავისუფლებისგან დასაცავად.⁸

³ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი

⁴ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია და სხვა

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება, II, 19

⁶ მათ შორის, იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158-ე კონვენცია დასაქმების შეწყვეტის შესახებ

⁷ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1

⁸ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი №18: შრომის უფლება (პაქტის მე-6 მუხლი), 6 თებერვალი 2006, E/C.12/GC/18, პარ. 35, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://cutt.ly/WIe7Afi>

მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს პირდაპირ ჩანაწერს შრომის უფლებასთან დაკავშირებით, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ უფლებას კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების მოქმედების სფეროში აქცევს.⁹ აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ პირადი ცხოვრება მოიცავს პირის უფლებას, ჩამოაყალიბოს და განავითაროს პროფესიული და საქმიანი ხასიათის ურთიერთობები სხვა ადამიანებთან.¹⁰ ამდენად, პრეცედენტული სამართალი არაერთ მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მათ შორის, დაკავებული თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლების კონტექსტში, რაც რელევანტური გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის, გონივრული დასაბუთებისა და დასაქმებულისთვის შესაბამისი პროცედურული გარანტიებით სარგებლობის შესაძლებლობის მინიჭების გარეშე, გაუმართლებლად მიიჩნევა.¹¹

რელევანტური საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მრავალჯერ განმარტა, რომ შრომითი უფლებების დაცვისთვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს რომლის ზედმიწევნით განხორციელების საჭიროება მომეტებულად იჩენს თავს საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის ბერკეტებს, ხოლო, მეორე მხრივ, გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულობის ხარისხს.¹²

აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე, მათ შორის: წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად; დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე.¹³

⁹ ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის გზამკვლევი, 31 აგვისტო 2021, პარ. 90-103 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://cutt.ly/AIe5qjD> ზ. შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბილისი, 2020, გვ. 138, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://cutt.ly/hIe5imF>

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Oleksandr Volkov v. Ukraine, პარ. 165

¹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Özpınar v. Turkey, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://cutt.ly/FIe5K3X>

¹² მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის № ბს-1389(კ-18) გადაწყვეტილება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 20 ივნისის №ბს-997(კ-18) გადაწყვეტილება

¹³ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტი.

დისკრიმინაციის სამართლებრივი შემადგენლობისთვის აუცილებელი ელემენტია, რომ მოსარჩელე იყოს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული კონკრეტული ნიშნის საფუძველზე. ეროვნულ დონეზე დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლები ასახულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, **პოლიტიკური** ან სხვა **შეხედულების** ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, **„პოლიტიკური ან სხვა მოსაზრება“** პირდაპირ არის ჩამოთვლილი, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული საფუძველი.¹⁴

დისკრიმინაციას კრძალავს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსიც“, რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა** ან მისთვის უპირატესობის მინიჭება პოლიტიკური შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, *რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.*

ევროპის სოციალური ქარტიის V ნაწილის თანახმად, ქარტით გათვალისწინებული უფლებებით, მათ შორის, შრომის უფლებით სარგებლობა დაცულია დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, **პოლიტიკური** ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ჯანმრთელობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, დაბადების ან სხვაგვარი სტატუსის საფუძველზე.¹⁵

განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ გარემოებებზე, რომლის მიხედვითაც იკვეთება, რომ იგი 2021 წლის 9 ივნისის №224 ბრძანების თანახმად, გათავისუფლდა „საქპატენტის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან. გათავისუფლებას კი, შესაძლოა, საფუძვლად დაედოდა მისი პოლიტიკური აფილაცია, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საკმარისად მიიჩნევს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგენილად მიიჩნევს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების უკანონო ფაქტს მისი დისკრიმინაციის გამო, მოპასუხე მხარეზე უნდა გადავიდეს მტკიცების ტვირთი, რომ განსხვავებულ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც ექნება ობიექტური და გონივრული დასაბუთება.

¹⁴ Handbook on European non-discrimination law 2018 edition, გვ. 222

¹⁵ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებულის) და მისი დანართის თაობაზე, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N1876 დადგენილებით <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43174>

3.2. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის კონტექსტი

რამდენადაც მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს ამ მიმართულებით, ბოლო პერიოდში გამოკვეთილ ტენდენციებზე.

2021 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები ჩატარდა, რამაც წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლების და შრომითი უფლებების სხვა სავარაუდო დარღვევების საგანგაშო ტენდენცია გამოკვეთა. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველმა პოლიტიკური ნიშნით შრომითი უფლებების სავარაუდო დარღვევის ათეულობით საქმეზე დაიწყო მოკვლევა. აღნიშნული საქმეები ისეთი სახის შრომით უფლებადარღვევებში გამოიხატებოდა როგორცაა დისკრიმინაციული მოტივით ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმა, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, საკუთარი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების წარდგენის მოთხოვნა და სამსახურიდან გათავისუფლება. ძირითადი ტენდენციით, არასახარბიელო მოპყრობის ძირითად მიზეზად განმცხადებლები ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას პარტიის წევრებთან ნათესაურ, მეგობრულ თუ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს ასახელებდნენ. მათ შორის, ნაწილი აღნიშნულს სოციალურ ქსელებში პარტიის ლიდერის მხარდამჭერი ან სიმპათიის გამომხატველი პოსტების თუ კომენტარების განთავსება/გაზიარება/მოწონებას უკავშირებდა. ხაზგასასმელია ისიც, რომ უმეტესად განმცხადებლები *ასოციაციით დისკრიმინაციაზე* მიუთითებენ, ვინაიდან მათი უფლებების შეზღუდვა, სავარაუდოდ, მათი ოჯახის წევრის ან მათთან კავშირში მყოფი პირის პოლიტიკურ შეხედულებას ან/და საქმიანობას მოჰყვა.¹⁶

გამოიკვეთა, რომ უმეტეს შემთხვევაში უფლებადარღვევებს ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში, მუნიციპალურ სამსახურებსა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირებში. ასევე დაფიქსირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაც; ნიშანდობლივია, ასევე განათლების სფეროში პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო შევიწროების საქმეც, რაც გამოიხატა შიდა აუდიტის დაინტერესებაში, მოკვლევა დაიწყო რესურსცენტრის დირექტორის მიერ ჩადენილი სავარაუდო დარღვევების აღმოჩენის მიზნით.

ამასთან, სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციები მიანიშნებს, რომ გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერის მოთხოვნა უშუალოდ მომდინარეობდა ზემდგომი პირებიდან ან/და განმცხადებლებს სხვა პირის მეშვეობით აცნობებდნენ, რომ უნდა

¹⁶ შენიშვნა: ასოციაციით დისკრიმინაცია წარმოადგენს პირდაპირი დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახეს, რა დროსაც, **დაცული ნიშანი, ანუ საფუძველი**, რის გამოც თანაბარ სიტუაციაში მყოფი პირებიდან ერთ-ერთს არათანაბრად (უსამართლოდ, არასახარბიელოდ) ეპყრობიან **უშუალოდ მსხვერპლს არ აქვს, არამედ იმ პირს აქვს, რომელთანაც მსხვერპლი ასოცირდება**

წასულიყვნენ სამსახურიდან, რასაც ნაწილი დათანხმდა, ნაწილი კი - არა, რის შემდგომაც ისინი სხვა საფუძვლებით გათავისუფლდნენ სამსახურიდან.

სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენას აბრკოლებს მტკიცებულებათა მოპოვების კუთხით არსებული სირთულეები. დისკრიმინაციული მოტივები, ხშირად, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციისას მჟღავნდება, ხოლო მოპასუხეები, რა თქმა უნდა, უარყოფენ სამსახურიდან წასვლის თაობაზე მოთხოვნას;

სახალხო დამცველმა პოლიტიკური ნიშნით შესაძლო უკანონო გათავისუფლების და სამსახურებრივი ზეწოლის 44 ფაქტთან დაკავშირებული საქმეები შესწავლისა და რეაგირების მიზნით უკვე მიაწოდა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს¹⁷.

ხაზგასასმელია, რომ სახალხო დამცველმა ორჯერ გაავრცელა საჯარო განცხადება¹⁸, რომ დაუშვებელია ადამიანთა დევნა მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და მოსაზრებების გამო და მოუწოდა ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სხვა საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებს - არ დაუშვან პოლიტიკური შეხედულებების გამო თანამშრომელთა დისკრიმინაცია და სამსახურიდან გათავისუფლება და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემასა და საბავშვო ბაღებში დასაქმებული პირების დაცვას პოლიტიკური ზეწოლის, დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან. ასევე, სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა - დროულად გამოიკვლიონ სახალხო დამცველის მიერ მიწოდებული დევნის საკითხი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

ამდენად, შესაძლო პოლიტიკური ნიშნით პირთა შრომის თავისუფლებაში მსგავსი მასიური ჩარევის ფონზე, სახალხო დამცველისთვის საფიქრებელია რომ მ. დ.-ის პოლიტიკური მიკუთვნებულობა ყოფილ პრემიერთან გიორგი გახარიასთან და მისი პრემიერობის პერიოდში დანიშნა შესაძლოა გამხდარიყო არასახარბიელო მოპყრობის საფუძველი და აძლიერებს მისი კანონიერი უფლებების შესაძლო პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვის შესახებ მითითების საფუძვლიანობას.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქმისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს იმის შეფასება, ნამდვილად არსებობდა თუ არა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი საფუძველი, თუ მიღებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა პოლიტიკურად მიუღებელი პირის განეიტრალებას. ამასთან, *სასამართლომ მიზანშეწონილია შეამოწმოს ახალი მთავრობის ადმინისტრაციის პირობებში მოსარჩელესთან კომუნიკაციის ფორმები, ჰქონდა თუ არა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის - ი. დ.-ს მხრიდან*

¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 31 აგვისტოს №04-2/8451, 20 სექტემბრის №04-2/8982 და 21 სექტემბრის №04-2/9063 წერილები

¹⁸ დამატებით იხ. <https://cutt.ly/cTWKFsN>; <https://cutt.ly/gTEqsWK>

სამსახურიდან დატოვების მოთხოვნას ადგილი, რამ განაპირობა „საქპატენტის“ ვებგვერდიდან შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წაშლა.

აუცილებელია სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს პროპორციულობის ტესტზე და შეაფასოს მოპასუხის მიერ მოსარჩელის გათავისუფლება რას ისახავდა მიზნად, მოსარჩელის პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას, თუ სხვა ობიექტურ გარემოებას, რომელიც განსხვავებულ მოპყრობას გაამართლებდა. შესაბამისად, პროპორციულობის ტესტის გამოყენებით, მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების მოტივით გათავისუფლება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგიტიმურ მიზანს და ამავე დროს, უნდა იყოს ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი და ერთადერთი საშუალება.

3. დასკვნა

განხილული სამართლებრივი სტანდარტებიდან გამომდინარე:

1. მოსარჩელემ უნდა წარმოშვას გონივრული ვარაუდი, რომ მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი იყო მისი პოლიტიკური აფილაცია ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან და მის მიერ „საქპატენტის“ თანამდებობაზე დანიშვნა.
2. მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი იყო არა მისი პოლიტიკური მიკუთვნებულობა ყოფილ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან, არამედ მასზე დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება. ამ შემთხვევაშიც, სასამართლომ მოპასუხეს უნდა დააკისროს იმის მტკიცების ტვირთი, რომ ის კანონიერი მიზნის მისაღწევად მოქმედებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16¹ მუხლით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

პატივისცემით,